დამტკიცებულია:

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის

გალობის უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის

№02 ბრძანებით (დანართი 2)

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. „ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის წესი“ (შემდეგში „წესი“) არეგულირებს ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში“ (შემდეგში „უნივერსიტეტი“) უნივერსიტეტის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის წესს.
2. ამ წესის სამართლებრივი საფუძვლებია: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანება „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანება „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტები.

თავი II. უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა

მუხლი 2. უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი

1. უნივერსიტეტში მიიღებიან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირები.
2. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე აბიტურიენტი გადის შესაბამის კონკურსს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით. კონკურსი ტარდება შიდა გამოცდის, შემოქმედებითი ტური/ტურების სახით.
3. შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე ყოველი კალენდარული წლის არაუგვიანეს 10 დეკემბრისა.
4. შემოქმედებითი ტურების განრიგი, მათ ჩატარებამდე ერთი თვით ადრე, ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
5. შემოქმედებით ტურზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, აბიტურიენტი არ დაიშვება მომდევნო ტურზე, მისი არსებობის შემთხვევაში.
6. უნივერსიტეტში აბიტურიენტი გადის შემოქმედებით ტურს, რომელიც მოიცავს საშემსრულებლო-პრაქტიკული უნარებისა და მუსიკალურ-თეორიული ცოდნის შემოწმებას.
7. უნივერსიტეტში შემოქმედებითი ტური/ტურების შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. 51 ქულაზე დაბალი შეფასება არადამაკმაყოფილებელია.
8. პირველი შემოქმედებითი ტური ტარდება ქართული საეკლესიო მუსიკასა (გალობა) და ხალხურ სიმღერაში, ხოლო მეორე-მუსიკის თეორიაში.
9. უნივერსიტეტში ჩასარიცხად შემოქმედებითი ტურების წარმატებით გავლის შემთხვევაში სავალდებულოა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ორი გამოცდის ჩაბარება ქართულ ენასა და ლიტერატურასა და უცხოურ ენაში.
10. აბიტურიენტს უფლება აქვს ჩააბაროს მე-3 სავალდებულო საგანი სახელმწიფო გრანტის მოსაპოვებლად.
11. აბიტურიენტთა ნუსხა, რომელთაც მოიპოვეს უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება, ქვეყნდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ უნივერსიტეტის მხრიდან მიწოდებული შემოქმედებითი ტურების შედეგების გათვალისწინებით.

მუხლი 3. შემოქმედებითი ტურების ორგანიზებასა და შეფასებაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. საბუთების მიღებისა და გამოცდების ჩატარების ორგანიზების მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება მიმღები კომისია.
2. შემოქმედებით ტურების შესაბამისად აბიტურიენტთა შეფასებისათვის იქმნება საგნობრივი კომისიები.
3. შემოქმედებითი ტურის შედეგების გასაჩივრების მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია, რომელიც არ შეიძლება შედგებოდეს იმ

პირებისაგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული აბიტურიენტის შეფასებაში.

მუხლი 4. შემოქმედებითი ტურების ჩატარების წესი

1. შემოქმედებითი ტურების გავლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით.
2. აბიტურიენტი შემოქმედებით ტურზე უნდა გამოცხადდეს ნახევარი საათით ადრე და თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.
3. შემოქმედებით ტურზე აბიტურიენტს ეკრძალება მობილური ტელეფონის შეტანა.
4. უნივერსიტეტში შემოქმედებითი ტურის მიმდინარეობის ხორციელდება აუდიოჩაწერა, გარდა წერითი გამოცდისა. აუდიო მასალა შეინახება მიმღებ კომისიაში და შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება მოთხოვნის მიხედვით.
5. უნივერსიტეტში განცხადებები მიიღება ხორციელდება რეტორის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ვადებში. განცხადებები, ასევე, მიიღება ელექტრონულად უნივერსიტეტის ვებგვერდზე მითითებული ბმულის/ელ.ფოსტის საშუალებით.
6. შემოქმედებით ტურებს შეიძლება დაესწრონ დამკვირვებლები, რომელთა რაოდენობის განსაზღვრა, დანიშვნა და შემოქმედებით ტურებზე განაწილება ხდება რექტორის ბრძანებით.
7. შემოქმედებით ტურს, მისი ჩატარების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, დამკვირვებლის სტატუსით შეიძლება დაესწროს სტუდენტი. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ახდენს მიმღები კომისიის ინფორმირებას.
8. დამკვირვებელი სტუდენტი არ შეიძლება იყოს პირი:
   ა) რომელიც ნებისმიერი სახით, პირდაპირ და უშუალოდ არის დაინტერესებული ჩასატარებელი გამოცდების შედეგებით;
   ბ) რომლის ნათესავი (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირები) აბიტურიენტია.
9. დამკვირვებელს ეკრძალება შემოქმედებითი ტურის მიმდინარეობისას აბიტურიენტის დახმარება ან მისი მუშაობისთვის ხელის შეშლა.
10. შემოქმედებითი ტურების შედეგების შესახებ ინფორმაცია აბიტურიენტებს მიეწოდებათ ინდივიდუალურად (კონფიდენციალურად) შესაბამისი ტურის ჩატარებიდან 1 დღის (24 სთ.) ვადაში და რეიტინგული სია, შეფასების გარეშე, ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
11. შემოქმედებითი ტურის შედეგები სააპელაციო კომისიაში შეიძლება გასაჩივრდეს შედეგების აბიტურიენტთათვის გაგზავნიდან ერთი (24 სთ.) დღის ვადაში;
12. განხილვას ექვემდებარება აბიტურიენტის, ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ წერილობითი სახით შემოტანილი სააპელაციო განაცხადი.
13. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეცვალოს წერით გამოცდაში საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილება, თუკი მიიჩნევს, რომ შეფასება არაობიექტურია.
14. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ცხადდება სააპელაციო განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს ორი (48 სთ.) დღისა.
15. შემოქმედებითი ტურების საბოლოო შედეგები იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.
16. ჩარიცხული აბიტურიენტი ვალდებულია წარმოადგინოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატი, ან მასთან გათანაბრებული განათლების

დიპლომის დედანი და გამოცხადებულ ვადებში გააფორმოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან.

17. უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვა საბაკალავრო საშემსრულებლო პროგრამაზე ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მხოლოდ უნივერსიტეტის კონკურსის შედეგების მიხედვით ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში, ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულების კოეფიციენტებით რანჟირების გაუთვალისწინებლად.
18. საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირები უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესისა და გალობის უნივერსიტეტში მოქმედი შიდა მარეგულირებელი წესების საფუძველზე.

მუხლი 5. აბიტურიენტთა მიერ უნივერსიტეტში წარმოსადგენი საბუთები

1. უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი წერს განცხადებას რექტორის სახელზე, ფაკულტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით.
   განცხადებას თან უნდა დაერთოს:
   ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა;
   გ) აბიტურიენტის ერთიანი ეროვნული გამოცდების საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი;
   დ) 2 ფოტოსურათი (ზომა 3×4), აგრეთვე მისი ციფრული ვერსია;
   ე) სამხედრო მოწმობა, ან სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი საბუთი ვაჟი აბიტურიენტებისთვის.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა არ ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.

თავი III. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესი

მუხლი 6. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი

1. მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან პირები, რომლებიც ფლობენ ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს.
2. უნივერსიტეტში საშემსრულებლო სამაგისტრო პროგრამებზე ტარდება შიდა გამოცდები (შემოქმედებითი ტური/ტურები).
3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირები უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროს მიერ დადგენილი წესისა და გალობის უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი წესების საფუძველზე.

4. მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა რექტორის ერთიანი აქტი და ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციას უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა.
5. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - „მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა)“ - მაგისტრანტობის კანდიდატები ჩაირიცხებიან შერეული წესით, საერთო სამაგისტრო გამოცდების (შემდეგში „სსგ“) კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სახელოვნებო ან ჰუმანიტარული მიმართულებიდან, სსგ, შიდა გამოცდა (შემოქმედებითი ტური/ტურები) და ინგლისური ენის B1 დონის ფლობა, რაც დადასტურებული ინება შესაბამისი დოკუმენტით ან შიდა გამოცდით.
6. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - „ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებელი“ - მაგისტრანტობის კანდიდატები ჩაირიცხებიან შემოქმედებითი ტურების შედეგების რეიტინგული სიის საფუძველზე. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სახელოვნებო ან ჰუმანიტარული მიმართულებიდან, შიდა გამოცდა (შემოქმედებითი ტური/ტურები) და ინგლისური ენის B1 დონის ფლობა, რაც დადასტურებული ინება შესაბამისი დოკუმენტით ან შიდა გამოცდით.
7. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - „ქრისტიანობის ისტორია“ - მაგისტრანტობის კანდიდატები ჩაირიცხებიან სსგ-ს კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა – სსგ და ინგლისური ენის B1 დონის ფლობა, რაც დადასტურებული ინება შესაბამისი დოკუმენტით ან შიდა გამოცდით.
8. შიდა გამოცდის (შემოქმედებითი ტური/ტურები) ჩატარების ცხრილი დგინდება რექტორის ბრძანებით.
9. უნივერსიტეტში შიდა გამოცდის (შემოქმედებითი ტური/ტურები) შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. 51 ქულაზე ნაკლები ნიშნავს ჩაჭრას.

მუხლი 8. შიდა გამოცდის (შემოქმედებითი ტური/ტურების) ორგანიზებასა და შეფასებაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. საბუთების მიღებასა და შიდა გამოცდის (შემოქმედებითი ტური/ტურები) ჩატარების ორგანიზების მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება მიმღები კომისია.
2. შიდა გამოცდაზე (შემოქმედებითი ტური/ტურები) მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებისათვის ყოველ საგანში იქმნება საგნობრივი კომისია, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი.

3. შიდა გამოცდის (შემოქმედებითი ტური/ტურები) შედეგების გასაჩივრების მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია, რომელიც არ შეიძლება შედგებოდეს იმ პირებისაგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მაგისტრანტობის კანდიდატის შეფასებაში.

მუხლი 7. შიდა გამოცდისა და შემოქმედებითი ტურების ჩატარების წესი

1. მაგისტრანტობის კანდიდატთა განცხადებები მიიღება მიმღებ კომისიაში რექტორის მიერ დადგენილ ვადებში.
2. მაგისტრანტობის კანდიდატი გამოცდებზე უნდა გამოცხადდეს ნახევარი საათით ადრე და თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.
3. გამოცდებზე მაგისტრანტობის კანდიდატს ეკრძალება მობილური ტელეფონის შეტანა.
4. უნივერსიტეტში შიდა გამოცდის (შემოქმედებითი ტური/ტურები) მიმდინარეობისას ხორციელდება აუდიოჩაწერა, გარდა წერითი გამოცდისა. აუდიო მასალა შეინახება მიმღებ კომისიაში და შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება საჭიროების შესაბამისად.
5. შიდა გამოცდის (შემოქმედებითი ტური/ტურები) შედეგები, მაგისტრანტობის კანდიდატის უნივერსალური კოდით, შესაბამისი გამოცდის/ტურის ჩატარებიდან 1 დღის ვადაში განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
6. შიდა გამოცდის (შემოქმედებითი ტური/ტურები) შედეგები სააპელაციო კომისიაში შეიძლება გასაჩივრდეს შედეგების გამოცხადებიდან 1 (24 სთ.) სამუშაო დღის ვადაში.
7. განხილვას ექვემდებარება მაგისტრანტობის კანდიდატის, ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ წერილობითი სახით შემოტანილი სააპელაციო განაცხადი.
8. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეცვალოს საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილება, თუკი მიიჩნევს, რომ შეფასება არაობიექტურია.
9. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ცხადდება სააპელაციო განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.
10. შიდა გამოცდის (შემოქმედებითი ტური/ტურები) საბოლოო შედეგები მოთხოვნის შემთხვევაში იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.
11. ჩარიცხული მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს დიპლომის დედანი და გამოცხადებულ ვადებში გააფორმოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობის საფუძველზე ჩარიცხული მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე წარმოადგინოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი-დიპლომი.

მუხლი 9. წარმოსადგენი საბუთების ნუსხა

1. მაგისტრატურაში სწავლის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
   ა) განაცხადება;
   ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
   გ) ბაკალავრის დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე (უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს თან უნდა ახლდეს აღიარების შესახებ დოკუმენტი);
   დ) სსგ-ს საგამოცდო საიდენტიფიკაციო ბარათი (თეორიული მიმართულების სპეციალობებზე);
   ე) 2 ფოტოსურათი 3 X 4-ზე, ასევე მისი ციფრული ვერსია;
   ვ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   ზ) ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი, თუ დოკუმენტი/დოკუმენტები უცხო ენაზეა შედგენილი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა არ ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.

თავი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

1. წესი დამტკიცდეს უნივერსიტეტის რექტორის აქტით.
2. წესში ცვლილებები და დამატებები შევიდეს რექტორის აქტით.
3. წესი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.